

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №1

ქ. ახმეტა

3 იანვარი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

თ. წითელაური, ა. შათირიშვილი, გ. უძილაური,

ახმეტის მუნიციპალიტეტის

თ. ყეინიშვილი, გ. ქიტესაშვილი, ნ. აბალოძე,

საკრებულოს წევრები:

რ. ბადაკაშვილი, მ. ალხანაშვილი, დ. მურთაზაშვილი,

მ. ხოლეგაშვილი, თ. ბოდაველი, ს. იჭირაული,

თ. ბორჩაშვილი, ა. ნახუცრიშვილი,

ც. გრძლივანიშვილი, ა. მაილაშვილი,

სხდომა გაიხსნა 10⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 დეკემბრის №22 დადგენილების არარად აღიარების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 დეკემბრის №22 დადგენილების არარად აღიარების თაობაზე

/მომხსენებელი - მამუკა ხოლეგაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი:

2016 წლის 05 დეკემბერს საკრებულომ მიიღო № 22-ე „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება.

გამომდინარე იქიდან, რომ 05 დეკემბრის სხდომაზე განიხილებოდა საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის იმპიჩმენტის საკითხი სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს უხუცესი წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა № 22-ე დადგენილებას, მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერის უფლებამოსილება მას არ გააჩნდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ი ქვეპუნქტის თანახმად.

2016 წლის 14 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა რეკომენდაციით მომართა საკრებულოს აღნიშნული დადგენილების არარად გამოცხადების თაობაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60-მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველით.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება 2016 წლის № 22-ე დადგენილების არარად აღიარების მიზნით საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

აზრი გამოთქვას:

დავით მურთაზაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილების მიღება გამოიწვია მოსახლეობის ინიციატივამ, მომხდარიყო უსახელო ქუჩების სახელდება. დადგენილების

პროექტზე მუშაობის დროს მოხდა მთავრობის დადგენილებიდან განმარტების დაკოპირება რამაც შექმნა უხერხული სიტუაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა №22 დადგენილების არარად ცნობა, რასაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 10⁴⁰საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი